საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

ივლისი 2024 / გამოცემა #62

პოლიტიკა ყოველთვის ადგილობრივია: რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული გარღვევა რეგიონებში?

ნინო სამხარაძე[1]

მოკლე შინაარსი

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მიჩნეულია რეფერენდუმად, რომელმაც კიდევ ერთხელ უნდა აჩვენოს ქართული საზოგადოების მკაფიო არჩევანი ქვეყნის ევროპული მომავლის და ევროინტეგრაციის შესახებ, რაც, „ქართული ოცნების“ მმართველობის ბოლო წლებში, აჩქარებული დემოკრატიული უკუსვლის პირობებში, გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. საზოგადოება ამ საგანგაშო დინამიკაზე მკვეთრად რეაგირებს: ერთგვარ კულმინაციურ ეპიზოდად უნდა განვიხილოთ მმართველი პარტიის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ წინააღმდეგობრივი კანონის მიღება, რაც მასობრივი სახალხო პროტესტის ფონზე მოხდა. საპროტესტო ტალღებმა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული სვლა ვერ შეაჩერა, რამაც დაადასტურა ის, რომ მმართველი პარტია ძალაუფლების ნებისმიერ ფასად შესანარჩუნებლად ემზადება. მოვლენათა ამგვარი განვითარება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქართულ დემოკრატიას, არამედ ქვეყნის კონსტიტუციურად გაცხადებულ ამოცანას, გახდეს ევროკავშირის წევრი. ეს პროცესი კი, ევროკავშირისავე თქმით, ამ ეტაპზე, გაყინულია (Herczyński 2024).

სწორედ ამიტომ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ეგზისტენციალური მნიშვნელობა შეიძინა (ზურაბიშვილი 2024a), რადგან საქართველოს მოსახლეობამ არა მხოლოდ პარლამენტი და მთავრობა უნდა აირჩიოს, არამედ, მორიგჯერ უნდა დააფიქსიროს ეროვნული არჩევანი ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული განვითარების სასარგებლოდ.

[1] ნინო სამხარაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი.

ამ დროს, ცალსახად მნიშვნელოვანია პრო-ევროპული პოლიტიკური პარტიების მიმართ, რაც შეიძლება, ფართო ნდობის შექმნა საზოგადოების საყოველთაო კონსოლიდაციისთვის. მიიჩნევა, რომ ტრადიციულად საქართველოში პოლიტიკა, ძირითადად, ცენტრში კეთდება, თუმცა მოსახლეობის 70%-ზე მეტი რეგიონებში რეგისტრირებული მოქალაქეები არიან, რომლებმაც ხმა თბილისს მიღმა უნდა მისცენ. ამიტომ, პოლიტიკურ პარტიებს სჭირდებათ წინა გამოცდილებებისგან განსხვავებული, ბევრად უფრო ძლიერი და ეფექტიანი მუშაობის ჩატარება რეგიონებში ქვეყნის დემოკრატიის და ევროპული მომავლის გადარჩენისთვის. შესაბამისად, წარმოდგენილი პოლიტიკის ნარკვევი, დემოგრაფიული და ანალიტიკური მასალის დამუშავებისა და ექსპერტული ინტერვიუების მიგნებებზე დაფუძნებით, პირველ ნაწილში რეგიონებში პოლიტიკური ქცევის ძირითად მახასიათებლებს ეხება, შემდგომ, გამოკვეთს სამ საკვანძო მიმართულებას რეგიონული მუშაობისთვის, რაც გაანალიზებულია ფორმულის *„როგორ, ვინ და რის შესახებ“* სახით. ნარკვევის ბოლოს, წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პარტიები რეგიონებში; არჩევნები რეგიონებში; პოლიტიკა რეგიონებში; 2024 წლის არჩევნები

შესავალი

პოლიტიკური და საზოგადოებრივი კრიზისი, რომელიც, ბოლო თვეების განმავლობაში, მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ მოქალაქეებს ანტიდემოკრატიული კანონების კასკადის სახით შესთავაზა, საქართველოს შიდადემოკრატიულ განვითარებას და ქვეყნის ევროპულ მომავალს უპრეცედენტო და გარდაუვალი საფრთხეების წინაშე აყენებს. შესაბამისად, ქვეყანა უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი არჩევნებისთვის ემზადება, სადაც მოსახლეობა სახელმწიფოს განვითარების მიმართულებას საბოლოოდ დააფიქსირებს - დარჩება ის ევროპულ ორბიტაზე თუ შეუერთდება არალიბერალური რეჟიმების კლუბს? ამ პროცესში საზოგადოების, რაც შეიძლება, ფართო და ძლიერი მობილიზებაა საჭირო მთელი ქვეყნის მასშტაბით. რეგიონებთან ჩართულობის და რეგიონებში მცხოვრები საზოგადოების კონსოლიდაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: იმ ფონზე, რომ საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი, ოფიციალურად, თბილისს მიღმა რეგისტრირებულ ამომრჩეველს წარმოადგენს, წინასაარჩევნოდ საზოგადოების ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაწილთან მუშაობას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს.

პრო-ევროპული პოლიტიკური პარტიების მხრიდან რეგიონული მუშაობის მნიშვნელობა იზრდება, რადგან საბოლოოდ, სწორედ პარტიები უნდა იყვნენ საზოგადოებრივი ნდობის მთავარი ობიექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს დემოკრატიული მომავლის გადასარჩენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების გასული წლებისგან განსხვავებული, ინტენსიური, შინაარსიანი და, რა შეიძლება, ზუსტი მუშაობა მოსახლეობასთან თბილისს მიღმა, იმის განსაკუთრებული ახსნა, თუ რისი შეთავაზება შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩევლისთვის თბილისს მიღმა. ამის დასაგეგმად, კი, საჭიროა დისკუსია იმაზე, თუ როგორია მოცემულ კონტექსტში რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები, შეხედულებები და გამოწვევები, და რა მნიშვნელოვანი განზომილებები უნდა გაითვალისწინონ პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი რეგიონული მუშაობის დასაგეგმად.

საქართველოს რეგიონები და ქართული პოლიტიკა: რამდენად დიდია დაშორება?

ათწლეულების განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ევროინტეგრაციის სასარგებლოდ სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის მაღალი და სტაბილურია. 2024 წლის გაზაფხულზე დედაქალაქში, რეგიონულ ურბანულ და რურარულ დასახლებებში მხარდაჭერის შესაბამისი მაჩვენებლები 70%, 81% და 63% იყოს (დიაგრამა 1). იმ ფონზე, რომ მმართველი პარტია ამ მისწრაფებას საფრთხეს უქმნის, პრო-ევროპული ოპოზიციური პარტიები ქვეყნის ევროპული მომავლის გადარჩენის იმედად რჩებიან. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დამოუკიდებლობის დღის სიტყვაში დააინიცირა „ქართული ქარტია“ პრო-ევროპული და პრო-დემოკრატიული პარტიების ერთი იდეის ქვეშ გაერთიანების მიზნით. პრეზიდენტის თქმით, *„როცა ჩვენ ხმას მივცემთ ქარტიაზე ხელმომწერ რომელიმე პარტიას, რეალურად, ხმას ვაძლევთ 'ქართულ ქარტიას' და ე.ი. ევროპულ მომავალს“* (ზურაბიშვილი 2024b). ამ ფორმულის მიხედვით, ქართული ოცნებისთვის ხმის მიცემა ევროპის წინააღმდეგ ხმის მიცემადაა წარმოდგენილი, ხოლო ქარტიის ხელმომწერი ნებისმიერი სხვა პარტიისთვის ხმის მიცემა ევროპული მომავლის არჩევას ნიშნავს.

დიაგრამა 1: *საქართველოს ევროკავშირის წევრობის მხარდაჭერა დასახლების ტიპის მიხედვით, აპრილი-მაისი 2024*



წყარო: *კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/EUSUPP-by-SETTYPE/*

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საქართველოში ძირითადი პოლიტიკური პროცესები ცენტრში მიმდინარეობს და პოლიტიკური პარტიების მთავარი ფოკუსიც ცენტრზე - ჩვენს შემთხვევაში, დედაქალაქზეა ორიენტირებული (შამუგია 2023). ამ არასახარბიელო ტენდენციაზე მიუთითებს რამდენიმე პრაქტიკული ინდიკატორი პოლიტიკური პარტიების პრაქტიკული საქმიანობიდან. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის 70%-ს საქართველოს რეგიონებში - საქალაქო თუ სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს (დიაგრამა 2). მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა თბილისში საქმიანობს - სწავლობს, დროებით სამუშაოს ან დედაქალაქში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ეძებს, მათი გამოწვევები, დიდწილად, სპეციფიკურია და მხოლოდ თბილისში დამუშავებულ პოლიტიკურ ლოზუნგებს ან შეთავაზებებს არ ერგება. იმ ფონზე, რომ თბილისს მიღმა ოფიციალურად რეგისტრირებულ მოქალაქეთა წილი საკმაოდ დიდია, მათზე ორიენტირებას და ნდობის მშენებლობის ბევრად უფრო სიღრმისეულ კამპანიებს, შესაძლოა, დემოკრატიის გადარჩენისთვის ჰქონდეს იმაზე მეტი მნიშვნელობა, ვიდრე პარტიები აქამდე ანიჭებდნენ.

დიაგრამა 2: *საქართველოს მოსახლეობა თბილისსა და რეგიონებში*



წყარო: *საქსტატი, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/738/mosakhleobis-geografiuli-ganatsileba-da-shida-migratsia*

საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, დედაქალაქს მიღმა მოსახლეობა *წაკლებად კრიტიკულია* პოლიტიკური პროცესებისა და მმართველი პოლიტიკური აქტორების მიმართ დედაქალაქთან შედარებით: 2024 წლის გაზაფხულზე მთავრობის მიმართ ნდობას ან ნაწილობრივ ნდობას რეგიონებში გამოკითხულთა 33% და 34% (ქალაქი / სოფელი) აფიქსირებს მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი თბილისში 22%-ია (დიაგრამა 3,4).

დიაგრამა 3 და 4: *ქვეყნის შიდაპოლიტიკური განვითარების და მთავრობის შეფასება დასახლების ტიპის მიხედვით, აპრილი-მაისი 2024*





წყარო 1: *კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/POLDIRN-by-SETTYPE/*

წყარო 2: *კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/TRUEXEC-by-SETTYPE/*

ქვეყნის განვითარების მიმართ ნაკლები კრიტიკულობის ფონზე, ისიც ცხადია, რომ რეგიონებში (როგორც ქალაქად - 42%, ისე სოფლად 40%) მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც საკუთარ თავს ვერცერთ პარტიასთან ვერ აიდენტიფიცირებს (დიაგრამა 5). მონაცემთა ასეთი კომბინაცია გვაძლევს ლოგიკურ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ნაკლებად აქვს საშუალება, დაკავდეს პოლიტიკური და სოციალური პროცესების გააზრებით. შესაბამისად, მათთვის საკუთარი პოლიტიკური იდენტობის პოვნაც ბევრად უფრო რთულია.

დიაგრამა 5: *რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? დასახლების ტიპის მიხედვით, აპრილი-მაისი 2024*



წყარო: *კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია:* https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/PARTYSUPP-by-SETTYPE/

ამ ფონზე, კიდევ უფრო კონტრასტული ტენდენციაა ის, რომ რეგიონებში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მისვლის მაჩვენებელი, თბილისთან შედარებით, უმეტესად, მაღალი იყო (ცხრილი 1). ქვემო ქართლი ერთადერთი რეგიონია, რომელიც აქტივობის თბილისზე დაბალ მაჩვენებელს აფიქსირებს, ხოლო ყველაზე აქტიურ რეგიონთან, რაჭა-ლეჩხუმთან შედარებით, აქტივობის სხვაობა შესამჩნევად დიდია. ამ ტენდენციის პოტენციურ ახსნებს შორის შესაძლოა იყოს ხმის მიცემის სხვადასხვაგვარი მოტივაციები: წინასაარჩევნო წნეხი მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემისთვის,

პოტენციურად, რეგიონებში უფრო ეფექტიანი, ვიდრე თბილისში, სადაც მოსახლეობის ნიჰილისტურად განწყობილი ნაწილი უფრო გაბედულად ირიდებს თავიდან არჩევნებზე მისვლის წნეხს.

ეს დაშორება მიუთითებს იმაზეც, რომ საარჩევნო ერთეულებს პოლიტიკური ჩართულობის მოტივაციებისა და ინტერესების თვალსაზრისით, განსხვავებული მახასიათებლები და მოცემულობები გააჩნიათ. თუ რაჭა-ლეჩხუმში შესაძლებელია საუბარი ეროვნულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, ქვემო ქართლში, პირველ რიგში, ხმის მიცემის მნიშვნელობაზეა საჭირო მეტი აქცენტი.

ცხრილი 1: *2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოსული ამომრჩეველი*[2]

რეგიონი	არჩევნებზე მოსული (%)
რაჭა-ლეჩხუმი	63.8
გურია	61.1
სამცხე-ჯავახეთი	60.8
მცხეთა-მთიანეთი	60.6
კახეთი	59.3
აჭარა	59.1
შიდა ქართლი	58
იმერეთი	56.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	54.7
თბილისი	54
ქვემო ქართლი	51

წყარო: *ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/en/archevnebi/2020/october-31-2020- parliamentary-elections-of-georgia/aqtivoba*

ამგვარად, ფაქტია, რომ უმეტეს რეგიონებში საზოგადოება უფრო მეტად გადაუწყვეტელია, თუმცა, მეტად აქტიურიც. ნიშანდობლივია, რომ სწორედ რეგიონებში წარმოქმნილი

[2] დალაგებული აქტივობის კლების მიხედვით ყველაზე ინტენსიურიდან ქვემოთ

ძლიერი პროტესტითა და ინტერესით იყო განპირობებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი ონლაინ თვითორგანიზების პროექტის, *„დაიტოვეს“* შექმნა ე.წ. „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო გამოსვლების დროს, რომლის ფარგლებშიც, თბილისში მყოფი მოქალაქეები სრულად თვითორგანიზებულად მასპინძლობდნენ რეგიონებიდან მობილიზებულ მოქალაქეებს, რომლებსაც სურდათ, დედაქალაქში მრავალათასიან აქციების შეერთებოდნენ. რადგანაც ისინი, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდა მოქალაქეები იყვნენ, მნიშვნელოვანია, რომ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, როგორც ერთგვარ საზოგადოებრივ ხმას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რეგიონში სტრატეგიების დაგეგმვისას. ეს საჭიროა, რადგან, მავე დროს, მიიჩნევა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისს მიღმა ბევრად უფრო მოწყვლადიცაა მმართველი პარტიისა და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველი ელიტების გავლენის მიმართ.

ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ რეგიონებში, ერთი მხრივ, არსებობს ძლიერი მოლოდინები და დაკვეთა პოლიტიკური სპექტრისა და პოლიტიკური პროცესის მიმართ, თუმცა პარტიებისგან იდეების მიწოდება შესაბამისი ხარისხითა და ინტენსივობით ჯერ ვერ გამოირჩევა. ამგვარად, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ სივრცე იმისთვის, რომ შეძლონ ამომრჩევლის ამ ნაწილთან მუშაობა ერთგვარი ნდობის ვაკუუმის შევსებისთვის და გათიშულობის აღმოფხვრისთვის, რასაც განსაკუთრებულად განსხვავებული და მძლავრი სტრატეგია სჭირდება 2024 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე.

ნდობის მობილიზება რეგიონებში - როგორ, ვინ და რის შესახებ?

ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური სურათის ფონზე, ფაქტია, რომ წინა წლების გამოცდილებები, რეგიონებთან წინასაარჩევნო ურთიერთობების თვალსაზრისით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თბილისს მიღმა, ერთი მხრივ, შეიქმნას საკმარისი ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ, მეორე მხრივ კი, შემცირდეს მმართველი ელიტების გავლენები ადგილობრივ საზოგადოებაზე. ადვილი არ არის ბრძოლა მმართველ ელიტაზე მიბმულ ძლიერ ლოკალურ კავშირებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კულტურასთან, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა საქართველოში სხვადასხვა რეჟიმების დროს. განსაკუთრებით, იმ მწირი რესურსების გათვალისწინებით, რის მობილიზებასაც პარტიები რეგიონებში ახერხებენ (კალანდაძე et al). თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, 2024

წლის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი არჩევნების წინ პოლიტიკურ პარტიებს რეგიონებში მეტად უფრო სიღრმისეული და ინტენსიური ჩართულობა სჭირდებათ.

<u>როგორ?</u>

რეგიონებში, როგორც წესი, მნიშვნელოვანია პერსონალური კომუნიკაცია ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველ რიგში, თბილისისგან განსხვავებით, მოქალაქეებს რეგიონებში არ აქვთ განცდა, რომ პარტიები და პოლიტიკოსები მუდმივად მათთან ახლოს არიან და მათი პრობლემებით ინტერესდებიან. ისინი ამჩნევენ, რომ პოლიტიკოსები მათთან არჩევნებიდან არჩევნებამდე მუშაობენ და სუსტია არჩევნებსშორისი ჩართულობა. მეორე რიგში კი, რეგიონები, უმეტესად, სოფლები, როგორც წესი, ნაკლებად ინტერნეტიზებულია ან კომპიუტერის იშვიათი მომხმარებლითაა დასახლებული, შესაბამისად პირდაპირი დემოკრატიის ისეთი ციფრული ინსტრუმენტი, როგორიცაა სოციალური მედია, მათთვის ნაკლებად მისაწვდომი ან სულაც მიუწვდომელია. კომუნიკაციის თვალსაზრისით, რეგიონში (ქალაქად / სოფლად) მცხოვრები მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსი მათ საჯარო შეხვედრების ფორმატში შეხვდეს. ნაკლებად პოპულარული და მისაღებია სხვა ალტერნატიული მექანიზმები (დიაგრამა 4).

დიაგრამა 6: *პარლამენტის წევრისათვის დაკავშირების საუკეთესო ფორმა, განსახლების მიხედვით. 2023 წლის ოქტომბერი*



წყარო: *კავკასიის ბარომეტრი, ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/no2023ge/CONTBEST-by-SETTYPE/*

პოლიტიკური პარტიები, ტრადიციულად, სწორედ ამ ფორმატს ირჩევენ რეგიონების მაცხოვრებლებთან ურთიერთობისთვის. თუმცა, ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი მიდგომების რეგულარულად ამუშავება პირდაპირი შეხვედრების ფორმატებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის ამ მიმართულებას ადამიანური და ფინანსური რესურსის განსაკუთრებით ძლიერი მობილიზება სჭირდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ, მაგალითად, დაახლოებით ერთსა და იმავე არეალში გაიმართოს მინიმუმ ორი შეხვედრა - პრობლემების ამოსაცნობად და ამ პრობლემების მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილების მისატანად. ეს მიდგომა ბევრად უფრო ადვილად შექმნიდა ნდობის ელემენტს ადგილობრივებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

საჯარო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგიონებში თითქმის უალტერნატივო ფორმატია, თუმცა რესურსების ამაოდ დაკარგვა იქნება, თუ პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტები არ შეეცდებიან ინტენსიურობის შენარჩუნებას, და ამ გზით, მოსახლეობის არა მხოლოდ ინფორმირებას, არამედ ადგილობრივებსა და პარტიებს შორის ფუნდამენტური ნდობის შექმნას.

ვინ?

რამდენადაც უშუალო შეხვედრების ფორმატი ყველაზე მისაღებად და ეფექტიანად მიიჩნევა, ამ ფორმატში მნიშვნელოვანია სახეების და პერსონების ფრთხილი დაბალანსება სხვადასხვა მიდგომების გათვალისწინებით. პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც, ძირითადად ცენტრში მოღვაწეობენ, ცხადია, ავტორიტეტს წარმოადგენენ რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის, და ასეთ ლიდერებთან უშუალო შეხვედრის, შესაძლოა, მიმზიდველობა და სანდოობა მეტი ახლდეს თან. თუმცა, არ შეიძლება ადგილობრივი ავტორიტეტების როლის უგულვებელყოფა. სოციალური კავშირები რეგიონებში ბევრად უფრო მჭიდროა და ურთიერთდამოკიდებული (Eder et al 2015). რეგიონული იდენტობა საქართველოში, როგორც წესი, უნიკალურია, და ადგილობრივ პოლიტიკოსებთან, თუნდაც ნაკლებად ცნობად სახეებთან ძლიერი კავშირიც მნიშვნელოვანი კომპონენტია ადგილზე განწყობების შექმნის თვალსაზრისით. შესაბამისად ადგილობრივი ლიდერის ცენტრალურ ლიდერთან ტანდემში პოზიციონირება პარტიებს სერიოზულ ნდობას მოუტანდა რეგიონებში კამპანიისას (Eder et al 2015). ეს მეტად დააჯერებს საზოგადოებას ადგილზე, რომ ლიდერებმა ცენტრში კონკრეტული რეგიონული პრობლემების შესახებ იციან და ჰყავთ ადგილზე მოკავშირე, რომელიც სპეციფიკურ დაპირებებზე მუდმივად იქნება პასუხისმგებელი მომდევნო არჩევნებამდე.

ამ მიმართულებით რამდენიმე სტრატეგიული ნაბიჯის გადადგმა შეიძლება. საქართველოს პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე, ლოკალური თუ ტომობრივი ურთიერთობები ბევრს ნიშნავს, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, განსაკუთრებით, პოლიტიკური პროცესის და პოლიტიკური ძალის შესახებ. განსაკუთრებით, სოფლებისთვის დამახასიათებელია ავტორიტეტის ძლიერი ფაქტორი - უხუცესების ფაქტორი, სოფლის არაფორმალური ლიდერის ფაქტორი, ასეთ ადამიანებთან მაქსიმალურად დაახლოება და მათთან მთავარი სათქმელის მიტანა იქნებოდა სტრატეგიის შედეგიანი ნაწილი. კიდევ ერთი წამახალისებელი ფაქტორი, თბილისს მიღმა მოსახლეობამ დააკავშიროს საკუთარი თავი რომელიმე პარტიასთან, შეიძლება, იყოს შემთხვევები, როცა ადგილობრივი ლიდერები პარტიის ცენტრალურ დონეზე ლიდერებიც ხდებიან. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა იმის განცდას, რომ „ჩვენიანი“ არის ამა თუ იმ პარტიის ავთენტური ნაწილი და შესაბამისად იმ პარტიაში მეტად დიდი შანსია, გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი ინტერესები.

<u>რის შესახებ?</u>

რადგანაც, ფართო მოსაზრებით, მოსალოდნელი არჩევნები რეფერენდუმს უტოლდება, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იფიქრონ, თუ როგორ დააბალანსონ ზოგადეროვნული და ეგზისტენციალური საკითხები და როგორ შეუკავშიროს ისინი სპეციფიკურ რეგიონულ განწყობებსა და საჭიროებებს. შესაძლოა, ფართო და ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა დემოკრატია VS ავტოკრატია, დასავლეთი VS რუსეთი და ა.შ., მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ მობილიზებაში. თუმცა, რამდენადაც რეგიონებში მცხოვრები საზოგადოება, ზოგადად უფრო ღარიბია, და შესაბამისად, ბევრად უფრო დატვირთულია ყოველდღიური გასაჭირით (პერტაია 2023), მათთვის შეიძლება გაუგებარი იყოს მხოლოდ ეგზისტენციალური არჩევანით საუბარი. მეორე მხრივ, მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო საკითხებზე ორიენტირებაც, შესაძლოა, არამომგებიანი იყოს, რადგან ამ დროს, არსებობს საფრთხე, რომ მოსალოდნელი არჩევნების ფუნდამენტური მნიშვნელობა თბილისს მიღმა ამომრჩეველმა ჯეროვნად ვერ აღიქვას.

ამიტომ, სწორი მიდგომა უნდა იყოს, ერთგვარი „ამოტრიალებული პირამიდის“ პრინციპი - რომლის მიხედვითაც, პარტიებმა უნდა დააბალანსონ საკუთარი კომუნიკაციის დინამიკა ზოგადეროვნული საკითხებიდან რეგიონის სპეციფიკაზე მორგებულ კონკრეტულ პრობლემებამდე. განსაკუთრებული აქცენტი შეიძლება გაკეთდეს იმაზე, თუ რა კონკრეტულ სიკეთეებს კარგავს კონკრეტული მუნიციპალიტეტი თავისი სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინებით. ეს კი რთულია, როცა საქმე ეხება ისეთი ჭრელი და მრავალფეროვანი

საზოგადოების გამოწვევებს, როგორიც საქართველოშია წარმოდგენილი. ის, რაც აქტუალურია მთიანი რეგიონებისთვის, რთულად თავსებადი შეიძლება იყოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის; ან აგრარული, მეცხოველეობით დაკავებული და ტურისტული რეგიონებისთვის; პატარა და დიდი დასახლებებისთვის, და ა.შ. ამ სიჭრელიდან გამომდინარე, პარტიებისთვის რთულია სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობა ადამიანური თუ ადგილზე რესურსების ნაკლებობის გამო. შესაბამისად, ზოგადი გზავნილებით, ყველა პარტია ემსგავსება ერთმანეთს და ისინი იდენტობის დაკარგვის საფრთხის ქვეშ დგებიან.

დასკვნა და რეკომენდაციები

იმ ფონზე, რომ ქართულ პოლიტიკას სასიცოცხლოდ სჭირდება გადატვირთვა და ქვეყანას - დემოკრატიულ რელსებზე დაბრუნება, საზოგადოების და ამომრჩევლის რაც შეიძლება ფართო კონსოლიდაცია 2024 წლის არჩევნებამდე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. მაშინ, როცა მოსახლეობის 70%-ზე მეტი საქართველოს რეგიონებშია რეგისტრირებული, წინასაარჩევნოდ მათ კონსოლიდაციას, დიდი ალბათობით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წესი, სწორედ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩევა მეტი მოწყვლადობით მმართველი ძალის მიმართ და ნაკლები კრიტიკულობით ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის მიმართ.

ამის საპირისპიროდ, ცვლილების მომტან პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით, საქართველოში ცენტრი და რეგიონი ერთმანეთისგან შესამჩნევად შორს არიან: ხიდჩატეხილობა დიდია, ხოლო მოლოდინები და საჭიროებები - განსხვავებული. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც წესი, უჭირთ, პროგრამებში სპეციფიკური გამოწვევები დაწვრილებით ასახონ, აღწერილი მოცემულობა ვერ ეხმარება მათ, რაც შეიძლება, მყარი ნდობა მოიპოვონ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ქვეყნის დემოკრატიისა და ევროპული მომავლის სასარგებლოდ. ეს ჩიხური მდგომარეობა, შესაძლოა, სერიოზულ რისკს წარმოადგენდეს საქართველოს დემოკრატიის გადარჩენის შანსების თვალსაზრისით. მოქალაქეები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს, თბილისსა და მის მიღმა, ფუნდამენტურად განსხვავებულად აღიქვამენ. ამ განსხვავების ასახვა პოლიტიკური პარტიების კომუნიკაციების სტრატეგიებში განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია. შესაბამისად, რეკომენდაციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების გამოყოფა.

<u>რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს:</u>

- **კამპანიის დაღმავალი პირამიდის პრინციპი:** რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ქვეყნის განვითარების ზოგადი ვექტორი მნიშვნელოვანია, თუმცა მეტი სიღარიბის და მეტი მოწყვლადობის გათვალისწინებით, აუცილებელია, კონკრეტული და სპეციფიკური პრობლემების ზოგადეროვნული საკითხების კონტექსტში ჩასმა. **ზოგადი VS კონკრეტული ნარატივები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა დაბალანსდეს კონკრეტული რეგიონის მიხედვით;**

- რეგიონებში კამპანიის წარმოებისას **აუცილებელია რეგიონში მცხოვრები ამომრჩევლის უკლებლივ ყველა სეგმენტისთვის გასაგებ საკითხებსა და პრობლემატიკაზე საუბარი,** მოსახლეობის კრიტიკულად განწყობილი ან მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით ურთიერთობებში მყოფი ნაწილის ჩათვლით;

- ლოკალური, ერთგვარი ტომობრივი ურთიერთობების სწრაფი შესწავლა, რათა პარტიამ ამოიცნოს, **რა მუშაობს კონკრეტულ თემში და რა არა, როცა საქმე პოლიტიკურ კომუნიკაციას და ამომრჩევლის დარწმუნებას, ნდობის მშენებლობას ეხება**;

- **ცენტრალური და ადგილობრივი ლიდერების კომბინირება ამომრჩეველთან საუბრისას** - ამომრჩევლისთვის იმის ჩვენება, რომ პოლიტიკური პარტიისთვის რეგიონის ხმა თანაბრად ისმის და არის მხედველობაში მიღებული ცენტრშიც და რეგიონებშიც;

- **რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების განცალკევებულად შესწავლა და მათთან უნიკალური კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვა,** რათა ისინი გახდნენ ერთგვარი მედიუმები საკუთარ თემებში;

- **მეტი ნდობის გამოვლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ,** განსაკუთრებით რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციების მიმართ; კონკრეტულ

საკითხებთან დაკავშირებული თემატური კონსულტაციების რეგულარულად დაგეგმვა;

- **ახალი სახეების რეგიონებიდან მოზიდვის და გადაწყვეტილების ცენტრალურ დონეზე მიღებაში ჩართვის** სტრატეგიის შემუშავება;

- **რეგიონული ვიზიტების რეგულარულობა: განმეორება მინიმუმ ორჯერ,** რათა პარტიამ აჩვენოს ადგილობრივ ამომრჩეველს, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში პოლიტიკოსებმა გასწიეს კონკრეტულ რეგიონზე ორიენტირებული სამუშაო და წინასაარჩევნოდ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის ნამდვილი მექანიზმები უჭირავთ ხელში;

- ადგილობრივი მაცხოვრებლების თვალში სანდოობის გასაძლიერებლად, და კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ განსაკუთრებული იდენტობის განცდის გაჩენისთვის, **კონკრეტულ რეგიონებზე მორგებული ქვე-პროგრამების შექმნა შესაბამისი სპეციფიკური პრობლემების ამოცნობით და მათზე გადაჭრის გზების პროგრამული შეთავაზებით**.

გამოყენებული ლიტერატურა

ვარადაშვილი, მარიამ. 2024. "ეგზისტენციური" არჩევნები ევროპული გზის გადასარჩენად - ვინც წელს ხმას პირველად მისცემს, პრეზიდენტი შეხვდა. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/uDQUF

ზურაბიშვილი, სალომე. 2024a. Georgia's next election will be referendum for or against Europe: President Zourabichvili. Available at: https://www.france24.com/en/tv-shows/talking-europe/20240503-georgias-next-election-will-be-referendum-for-or-against-europe-president-zourabichvili

ზურაბიშვილი, სალომე. 2024b. Speech Delivered by H.E. Salome Zourabichvili, President of Georgia May 26, 2024. Available at: https://civil.ge/wp-content/uploads/2024/05/Presidents-Speech-May-26.pdf

კანდელაკი, სალომე. 2021. სახელმწიფო სოციალური პროტესტების პირისპირ: რატომ არის ნამახვან ჰესის საწინააღმდეგო პროტესტი უნიკალური? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/state-vs-social-protests-why-is-the-protest-against-namakhvani-hpp-unique/

პერტაია, ლუკა. 2023. აბსოლუტური სიღარიბე შემცირდა - როგორ „მდიდრდება“ საქართველო? ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/xUzs8

საქსტატი. 2023. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/sd18D

საქსტატი N.d. მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება და შიდა მიგრაცია. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/738/mosakhleobis-geografiuli-ganatsileba-da-shida-migratsia

შამუგია, ეგნატე. 2022. პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. ხელმისაწვდომია: https://gnomonwise.org/ge/publications/policy-papers/124Eder, Nuklaus et al. 2015. Winning over voters or fighting party comrades? Personalized constituency campaigning in Austria. ხელმისაწვდომია: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379414000481

IDFI 2020. ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Covid/Internet_access_and_use_in_Georgia.pdf

Radiotavisufleba.ge 2024. „აგენტების კანონის“ საწინააღმდეგო აქციები გაიმართა რეგიონებში. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32938594.html

ჩატარებული ინტერვიუები:

გოზალიშვილი, ნინო, 2024. აკადემიური ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტის ნაციონალიზმის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კვლევის ცენტრი;

კაჭკაჭიშვილი, იაგო, 2024. პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დირექტორი, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“;

ნატროშვილი, ლევან, 2024. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

Supported by

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ეს პუბლიკაცია მომზადდა ბერლინში Institut für Europäische Politik (IEP)-თან თანამშრომლობით, პროექტის „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ევროკავშირში ინტეგრაციისთვის GEO4EU“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია გერმანიის ფედერალური საგარეო უწყების მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთისათვის, სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ნინო სამხარაძე, *„პოლიტიკა ყოველთვის ადგილობრივია: რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული გარღვევა რეგიონებში?“*, პოლიტიკის ნარკვევი #62, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ:
www.gip.ge